საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030692239750717

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/840 **02** / მარტი / **2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
სამსახურის უფროსს ბატონ ცოტნე ყავლაშვილს

ბატონო ცოტნე,

გაცნობებთ, რომ სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და "აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდს“ შორის 2016 წლის 23 ნოემბერს გაფორმებული №1121 საგრანტო ხელშეკრულებით დაფინანსებულია პროექტი „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ (გრანტის რეგისტრაციის №1248; 02/12/2016) თანხით 12 125 491 აშშ დოლარი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამავე ორგანიზაციებს შორის 2014 წლის 24 მარტს გაფორმებული №GEO-T-NCDC საგრანტო ხელშეკრულებით დაფინანსებულ „ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის“ გრანტზე (გრანტის რეგისტრაციის №681, 02/04/2014) ნაშთის სახით ირიცხება 1,453,623.07 ლარი.

დონორმა ორგანიზაციამ 2016 წლის 23 ნოემბრის №1121 საგრანტო ხელშეკრულებით თანხმობა გამოთქვა, რომ №681 გრანტის ანგარიშზე არსებული ფულადი ნაშთიდან 428 004 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში მიმართული იქნას „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროექტის დასაფინანსებლად (გრანტი №1248).

საგრანტო ხელშეკრულება №1121 თან ერთვის.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე